ეროვნული ბიბლიოთეკა

34(05)
L-29

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

ტფილისი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. აპრილის 6 № 1 ნაწილი მეოთხე

186/1928 6.II

X83

შინაარსი:

1. წესდება სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წესდება ესე დამტკიცებულია საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილებით 1928 წლის მარტის 20-ს (ოქმი № 13, პ. 5).

საქართველოს სახკომსაბჭოს
საქმეთა მმართველის
მოადგილე ს. სტეფანოვი.

წესდება

სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისა.

I. ზოგადი დებულებანი.

1. რათა ინვალიდთა ფართო მასსა ჩაბმულ იქნეს კოოპერატიულ მუშაობაში, — არსებული არტელების გაერთიანებით და ახალი არტელების მოწყობით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ 1927 წ. აპრილის 20-ს დამტკიცებული დებულების (გაზ. „კომუნისტი“ №№ 104/1849, 105/1850 და 106/1851 1927 წლის მაისის 11-ისა, 12-ისა და 13-ისა) თანახმად, მოეწყობა სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი.

2. პირველ §-ში აღნიშნული მიზნის მისაღწევად სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს უფლება ეძლევა:

ა) მოაწყოს წარმოებითი, სავაჭრო-წარმოებითი, სასოფლო სამეურნეო, სავაჭრო და შრომის არტელები და მათი შენაერთები;

ბ) აღმოუჩინოს თავის წევრებს სამეურნეო ხასიათის დახმარება კავშირის დამყარებით ურთიერთ შორის და აგრეთვე საკრედიტო და სამეურნეო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან ფულადი და სასაქონლო კრედიტის მისაღებად, ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების ნაკეთობის გასასაღებლად, შეკვეთების მისაცემად და სხვ.; აგრეთვე იხმაროს ღონისძიებანი, რათა კავშირის წევრებს მიზანშეწონილად, თავის დროზე და უშუალოდ მიეცეს ხელმე სათანადო კრედიტი;

გ) შეიძინოს ყოველგვარი ქონება, საქონელი, კვების პროდუქტები და სხვა საგნები, როგორც ფულად, ისე კრედიტით და გაცვლით — მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიაწოდოს იგი თავის წევრებს;

დ) მოაწყოს და იჯარით აიღოს ყოველგვარი სამრეწველო დაწესებულება, სახელოსნო, ფერმა, სადგური, კოლონია და სხვა დაწესებულება და საწარმო თავის წევრებისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემის მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მიიღოს შეკვეთა, იკისროს ნარდათ მუშაობა და ყიდვა-მიწოდება სახელმწიფო, კომუნალური, საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სხვა დაწესებულებისა და კერძო პირისაგან, მონაწილეობა მიიღოს მათ მიერ დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ თავის წევრთა ძალებით;

ვ) შეადგინოს კაპიტალი და ყველა კანონიერი საშუალებით შეიძინოს, დააგრაოს და გაასხვისოს ყოველგვარი ქონება, აიღოს სესხი, მიიღოს ანაბარი, გასცეს სესხი, აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები, გასცეს, მიიღოს და გაანაღდოს თამასუქი, გაუკეთოს ამ უკანასკნელს საბლანკო წარწერა, დასდვას ხელშეკრულება, სხვათა შორის აღნაგობის უფლების შესახებაც, მიიღოს ქონება საჩუქრად, გირაოდ, გასცეს რწმუნების ბარათი, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში;

ზ) გაასაღოს ინვალიდთა არტელებისა და შენაერთების პროდუქცია, მიაწოდოს მათ საქონელი, ნედლეული, მასალა, ხელსაწყო, საწარმოო იარაღი, ფულადი საღსარი და სხვ., რაც საჭიროა რეგულიარული და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რისთვისაც გახსნის მაღაზიებს, საწყობებს, კონტორებს, განყოფილებებს, სააგენტოებს და სხვ.;

თ) დასდვას შეთანხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან, კერძოდ, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებთან, რათა ჩააბას ისინი ინვალიდთა კოოპერატიულად შეკავშირებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში;

ი) ხელი შეუწყოს ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების მუშაობას, რაც მიმართული იქნება კოოპერატიულად შეკავშირებულ ინვალიდთა ყოფა-ცხოვრების კოლექტივიზაციისათვის. და აგრეთვე სასადილოებისა, საერთო საცხოვრებლებისა, საავადმყოფოებისა, სანატორიუმებისა, კურორტებისა და სხვა საერთო-სასარგებლო დაწესებულებათა მოწყობისათვის;

კ) გაუწიოს ინვალიდთა არტელებს და მათ შენაერთებს წარმომადგენლობა და დაიცვას მათი ინტერესები ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანოს, დაწესებულებისა და კერძო პირის წინაშე, რისთვისაც საჭირო არ არის კავშირის განსაკუთრებული რწმუნებულობით აღჭურვა;

ლ) წარმართოს ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და ხელი შეუწყოს ინვალიდთა გაერთიანების იდეისა და მისი მიზნების პოპულარიზაციას—ლექციებისა, კლუბებისა, სკოლებისა, სამკითხველოებისა, გამოფენებისა, მუზეუმებისა და სხვ. მოწყობით;

მ) გამოუშვას ხოლმე პერიოდიული ან სხვა გამოცემანი;

ნ) მოაწყოს ინვალიდთა ურთიერთ დამხმარე სალაროები;

ო) აწარმოოს ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების ყოველგვარი გამოკვლევა და გამოაქვეყნოს ხოლმე ამ გამოკვლევის შედეგი;

პ) აწარმოოს არსებული არტელებისა და მათი შენაერთების რევიზია და ინსტრუქტორობა გაუწიოს მათ მუშაობას;

ჟ) მოიწვიოს ხოლმე თათბირი, კონფერენცია და ყრილობა იმ საკითხების გამო, რაც დაკავშირებულია ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების მოქმედებასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) ხელი შეუწყოს შენაერთებს და ინვალიდთა არტელებს ტეხნიკური და იურიდიული დახმარების აღმოჩენით;

ს) შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც მიმართულია ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების განვითარებისათვის.

3. ამა წესდების საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში რეგისტრაციის დღიდან—სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

4. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი თავისი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მთლად თავისი ქონებით და კაპიტალით. ამას გარდა ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის ვალდებულებათა დაფარვა უზრუნველყოფილია კავშირის წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობის წესისამებრ—წევრთა სავალდებულო საპაიო შენატანის სამჯერ გამრავლებული რაოდენობით.

5. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის გამგეობა იმყოფება ქ. ტფილისში.

6. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის მოქმედების რაიონი გავრცელდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

7. წესდებით გაუთვალისწინებელ ყველა შემთხვევაში კავშირი იხელმძღვანელებს არსებულ კანონმდებლობას და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების საერთო განკარგულებებს.

8. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს აქვს ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია კავშირის სახელწოდება—„სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი“.

II. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის შედგენილობა და წევრთა უფლება-მოვალეობანი.

9. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრად შეიძლება იყოს:

ა) ინვალიდთა არტელი და

ბ) ინვალიდთა სამაზრო და საოლქო არტელების კოოპერატიული შენაერთი, უკეთუ ამ შენაერთის მოწყობა დადასტურებულია სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის მიერ.

10. ინვალიდთა არტელებს და მათ შენაერთებს (§ მე 9) შეუძლიანთ სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრად შესვლა მას შემდეგ, რაც მათ წესდებას დაამტკიცებს და რეგისტრაციაში გაატარებს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანო.

11. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი თვითეულ თავის წევრს მისცემს ამა წესდების ერთ ცალს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრთა მიღებას აწარმოებს კავშირის გამგეობა. იმ ორგანიზაციას, რომელსაც გამგეობა კავშირის წევრად არ მიიღებს, შეუძლიან მიმართოს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის რწმუნებულთა კრებას, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოთ ჩაითვლება.

13. თვითეული წევრი, რომელიც კავშირში შედის, ვალდებულია გადაიხადოს: ა) შესასვლელი გადასახადი, არტელის თვითეულ ფიზიკური პირისათვის 2 მან. და ბ) საპაიო გადასახადი თავისი ორგანიზაციის წევრთა ნომინალური საპაიო შენატანის 25% რაოდენობით.

შენიშვნა 1. შესასვლელი გადასახადი კავშირის წევრს არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნდება.

შენიშვნა 2. საპაიო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ან მთლიანად კავშირში შესვლის დროს ან ნაწილ-ნაწილ იმ წესის მიხედვით, რასაც რწმუნებულთა კრება დაადგენს.

14. შესასვლელი და საპაიო გადასახადის გარდა, სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრებმა ყოველწლიურად უნდა გადარიცხონ კავშირის ფონდში წმინდა მოგების 10%.

15. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრები გაგზავნიან კავშირის რწმუნებულთა კრებაზე (§ მე-31) თავის წარმომადგენლებს იმ ანგარიშით, რომ ყოველ 25 ფიზიკურ წევრზე მოდიოდეს თითო წარმომადგენელი; უკეთუ კავშირის წევრს ფიზიკურ წევრთა აღნიშნული რიცხვი არა ჰყავს, იგი მაინც გაგზავნის ერთ წარმომადგენელს. არა სრული ნორმა 10 წევრზე ზევით სრულ ნორმად ჩაითვლება.

კავშირის რწმუნებულთა კრებისათვის წარმომადგენლების არჩევა სწარმოებს კავშირის წევრთა მიერ თავიანთ საერთო კრებაზე.

16. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს ამა წესდებით გათვალისწინებულ წესებს და რწმუნებულთა კრების დადგენილებებს;

ბ) აწარმოოს თავისი სამეურნეო და საკრედიტო ოპერაციები უმთავრესად სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის მეშვეობით;

გ) წარუდგინოს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს, ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული ფორმით და დადგენილ ვადაზე, ანგარიში თავისი მოქმედების შესახებ;

დ) ნება მისცეს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წარმომადგენლებს, რომელთაც საამისო რწმუნებამოსილება ექნებათ,—მონაწილეობა მიიღონ კავშირის ორგანოების სხდომებში და კავშირის საქმეთა რევიზიასა და გამოკვლევაში და იხმაროს საჭირო ღონისძიებანი იმ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, რაც აღმოჩენილ იქნა კავშირის რევიზიით ან გამოკვლევით;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) მოიწვიოს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის გამგეობის წინადადებით თავის წევრთა არაჩვეულებრივი კრება კავშირის მიერ აღძრული საკითხების განსახილველად;

ვ) წარუდგინოს კავშირს დასამტკიცებლად თავის ორგანოთა დადგენილებანი, რაც შეეხება: 1) წესდების შეცვლას, 2) არტელში ახალი წევრის ჩარიცხვას არაინვალიდთაგან, 3) სხვა არტელებთან გაერთიანებას, 4) ორ ან მეტ დამოუკიდებელ არტელებად გაყოფას და 5) ლიკვიდაციას.

17. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის თვითეულ წევრს უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს კავშირის ყველა დაწესებულება კავშირის მიერ დადგენილ საფუძველზე;

ბ) გამოიყენოს კავშირის სათანადო წინადადებანი, კავშირის მიერ მივლინებულ რევიზორთა და ინსტრუქტორთა დახმარება და აგრეთვე სხვა სახის დახმარება იმ საფუძველზე, რასაც რწმუნებულთა კრება დაადგენს;

გ) წარუდგინოს კავშირს თავისი წინადადებანი ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც კავშირმა უნდა განიხილოს, შეიტანოს წერილობითი განცხადება კავშირის ყველა ორგანოს მოქმედების შესახებ და მოითხოვოს ამ წინადადებათა და განცხადებათა განხილვა კავშირის სათანადო ორგანოების მიერ;

დ) მიიღოს მონაწილეობა კავშირის საქმეთა გამგებლობაში (§ 30).

18. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრი პასუხს აგებს კავშირის ვალდებულებისათვის თავისი საპაიო შენატანით (§ 13) და ამის გარდა,—დამატებითი პასუხისმგებლობის წესისამებრ,—თავისი სავალდებულო საპაიო შენატანის სამჯერ გამრავლებული რაოდენობით (§ 4).

შენიშვნა. კავშირის წევრი პასუხისმგებელია აგრეთვე კავშირის იმ ვალდებულებისათვის, რაც მისი კავშირში შესვლამდე წარმოიშვა.

19. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წევრს შეუძლიან გავიდეს კავშირის შემადგენლობიდან წერილობითი განცხადებით, რომელი განცხადებაც ამ წევრის საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების დადგენილებას უნდა ემყარებოდეს. წევრის კავშირიდან გასვლის დღედ ჩაითვლება ის დღე, რა დღესაც ამ წევრისაგან მიღებულ იქნა განცხადება კავშირიდან გასვლის შესახებ.

20. კავშირის რწმუნებულთა კრების დადგენილებით შეიძლება გამორიცხულ იქნეს მისი შედგენილობიდან ის წევრი, რომელიც დაარღვევს თავის ან კავშირის წესდებას, არ შეასრულებს თავის ვალდებულებას კავშირის წინაშე, ან და იმოქმედებს მისი ინტერესების საზიანოდ.

21. კავშირიდან გამორიცხული წევრი ჩაითვლება კავშირიდან გასულად იმ დღიდან, რა დღესაც რწმუნებულთა კრება საამისო დადგენილებას მიიღებს.

22. კავშირის იმ წევრს, რომელიც მისი შედგენილობიდან გამოვა (§ 19) ან გამორიცხულ იქნება (§ 20), არ შეუძლიან, თანახმად ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 38 მუხლისა, ისარგებლოს სპეციალური შეღავათები, რაც დაწესებულია ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. კავშირიდან გამოსულ წევრს დაებრუნება, მისი განცხადების თანახმად, საეალდებულო საპაიო შენატანი კუთვნილი დანარიცხით, სამი თვის განმავლობაში იმ საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცებისას, როდესაც იგი კავშირიდან გავიდა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ყველა ანგარიშს გაუსწორებს კავშირს. ნებაყოფლობითი ანაბარი დაბრუნებულ უნდა იქნეს ამ ანაბარის შეტანის პირობების მიხედვით.

III. კავშირის სახსარი.

24. კავშირის სახსარს შეადგენს: ა) ის ქონება, რაც კავშირს საკუთრებად გადაეცა; ბ) შესასვლელი და საპაიო შენატანი; გ) წმინდა მოგების ანარიცხი და დ) სხვა შემოსავალი.

აღნიშნული სახსარი გაიყოფა: ა) ძირითად, ბ) საბრუნავ, გ) სათადარიგო და დ) სპეციალურ კაპიტალებად.

25. ძირითად კაპიტალს შეადგენს: ა) სამრეწველო და საცხოვრებელი ნაგებობანი და საწარმოო იარაღები, რაც კავშირს საკუთრებად გადაეცა; ბ) ყოველწლიური ანარიცხი კავშირის წმინდა მოგებისა (66 §-ის პუნქტი „ა"); გ) დაუბრუნებელი სუბსიდია და დ) სხვა შემოსავალი. ძირითადი კაპიტალი დანიშნულია ყოველგვარი ქონების შესაძენად, ხოლო რწმუნებულთა კრების დადგენილებით, იგი შეიძლება ბრუნვაშიაც იქნეს გამოყენებული.

26. საბრუნავ კაპიტალს შეადგენს: ა) საპაიო შენატანი; ბ) წმინდა მოგების ანარიცხი (66 §-ის პუნქტი „ბ") და გ) სხვა შემოსავალი. საბრუნავი კაპიტალი დანიშნულია კავშირის მიმდინარე ოპერაციების საწარმოებლად.

27. სათადარიგო კაპიტალს შეადგენს: ა) წევრთა შესასვლელი გადასახადი; ბ) კავშირის წმინდა მოგების ანარიცხი (66 §-ის პუნქტი „გ"). სათადარიგო კაპიტალი დანიშნულია მოსალოდნელი წაგების დასაფარავად.

28. სპეციალურ კაპიტალს შეადგენს კავშირის წმინდა მოგების ანარიცხი (66 §-ის პუნქტი „დ"), წევრთა მოგების ანარიცხი (§ 14), სახსარი, რასაც გადასდებს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილება, კავშირის წევრთა სპეციალური შენატანი და სხვა სახსარი, რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად. სპეციალური კაპიტალის დახარჯვა სწარმოებს რწმუნებულთა კრების განკარგულებით.

29. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს თავისი სახსარის გასაძლიერებლად შეუძლიან მიიღოს დაუბრუნებელი და დასაბრუნებელი დახმარება, აიღოს სესხი და მიიღოს თავის წევრთაგან ანაბარი.

IV. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის საქმეთა მმართველობა.

30. კავშირის საქმეთა მმართველობა დაეკისრება: ა) რწმუნებულთა კრებას და ბ) გამგეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) რწმუნებულთა კრება.

31. კავშირის რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთა წარმომადგენელთაგან (§ 9) ამა წესდების 15 §-ში აღნიშნულ საფუძვლებზე.

შენიშვნა. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობას მიიღებენ კავშირის რწმუნებულთა კრებაში იმავე უფლებით, როგორც რწმუნებულები ხოლო არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება მაშინ, როდესაც ირჩევა: ა) ანგარიშის დამტკიცებისა, ბ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა მოქმედების შეფასებისა, გ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთათვის ჯილდოს განსაზღვრისა და დ) მათი სასამართლოში მიცემის საკითხი.

32. რწმუნებულთა კრების გამგებლობაში შედის:

ა) დაამტკიცოს კავშირის მოქმედების საერთო გეგმა, მისი შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა და წლიური ანგარიში, გაანაწილოს მოგება და დაფაროს წაგება;

ბ) განსაზღვროს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი და აარჩიოს ისინი;

გ) გადააყენოს, ვადის გასვლამდე, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები მათი მოვალეობის აღსრულებისაგან;

დ) განსაზღვროს ჯილდოს რაოდენობა არჩეული ორგანოების წევრთათვის;

ე) დაამტკიცოს ინსტრუქცია გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს სპეციალური კაპიტალის შედგენის წესი და განსაზღვროს მისი დანიშნულება;

ზ) გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფარგალში უნდა სწარმოებდეს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისათვის კრედიტის მიცემა;

თ) დააწესოს კავშირისათვის კრედიტის მიცემის საერთო პირობები;

ი) დაადგინოს შესასვლელი და საპაიო გადასახადის შეტანის წესი და ვადა.

კ) გამორიცხოს წევრი კავშირის შედგენილობიდან;

ლ) განიხილოს საჩივარი, რაც აღიძვრის გამგეობისა, სარევიზიო კოისიისა და კავშირის სხვა ორგანოების წინააღმდეგ;

მ) გადასწყვიტოს საკითხი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და კავშირის სხვა ორგანოების სამართალში მიცემის შესახებ დაუდევრობისა და არასწორი მოქმედებისათვის;

ნ) შეიტანოს ცვლილება კავშირის წესდებაში;

ო) გადასწყვიტოს სხვა საკითხები, რაც გადაეცემა განსახილველად რწმუნებულთა კრებას—სარევიზიო კომისიისა და რწმუნებულთა წინანდელი კრების დადგენილებით და აგრეთვე კავშირის წევრთა $^1/_{10}$-ის ან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილების წინადადებით;

პ) მოახდინოს კავშირის საქმეთა ლიკვიდაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. რწმუნებულთა კრება არის:

ა) მორიგი, რომელსაც ყოველწლიურად მოიწვევს გამგეობა, არა უგვიანეს თებერვლის 1-სა—ანგარიშისა, მუშაობის გეგმისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვა საკითხების განსახილველად და დასამტკიცებლად;

ბ) არაჩვეულებრივი, რომელსაც მოიწვევს გამგეობა თავისი თაოსნობით ან სარევიზიო კომისიის ან და კავშირის წევრთა $^1/_5$-ის წერილობითი მოთხოვნით.

შენიშვნა. კავშირის გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც სათანადო მოთხოვნას მიიღებს (ლიტ. „ბ"); წინააღმდეგ შემთხვევაში კრებას მოიწვევს სარევიზიო კომისია.

34. რწმუნებულთა კრების დროისა და ადგილისა და აგრეთვე კრების მიერ განსახილველი საკითხების შესახებ კავშირის გამგეობა აცნობებს თავის წევრებსა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილებას არა უგვიანეს ორი კვირისა კრების მოწვევამდე. თვითეულ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც დღის წესრიგშია დასმული.

35. ის საკითხები, რაც რწმუნებულთა კრებამ უნდა განიხილოს, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ გამგეობის მეშვეობით. უკეთუ სარევიზიო კომისიას და კავშირის წევრს სურს ესა თუ ის საკითხი შეიტანოს რწმუნებულთა კრების განსახილველად—იგი ვალდებულია წარუდგინოს გამგეობას საამისო წერილობითი განცხადება არა უგვიანეს ორი კვირისა რწმუნებულთა კრების მოწვევამდე.

36. რწმუნებულთა კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო კავშირის თვითეული წევრის თითო წარმომადგენელი მაინც, ხოლო არა ნაკლებ. კავშირის წევრთა ნახევრის წარმომადგენლები.

შენიშვნა. წესდების შეცვლისა და დამატებისა და კავშირის საქმეთა ლიკვიდაციის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა რწმუნებულთა კრებას დაესწროს კავშირის წევრთა არა ნაკლებ $^2/_3$ წარმომადგენლები.

37. უკეთუ რწმუნებულთა კრება არ შესდგა 36 §-ში აღნიშნულ წევრთა რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არა უგვიანეს ერთი თვისა მოიწვევა მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს მას, რის შესახებაც კავშირის წევრები გაფრთხილებულ უნდა იქნენ თვით მოწვევის უწყებაში.

36 §-ში (შენიშვნა) ანიშნული საკითხები შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ხელმეორედ მოწვეულ საერთო კრებაზედაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ კრებას დაესწრო წარმომადგენლები კავშირის წევრთა არა ნაკლებ ნახევრისა.

ხელმეორედ მოწვეული კრება განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რაც დასმული იყო პირველი არშემდგარი კრების დღის წესრიგში.

38. რწმუნებულთა კრებას გახსნის გამგეობის თავმჯდომარე ამ მისი მოადგილე. უკეთუ რწმუნებულთა კრებას მოიწვევს სარევიზიო კომისია, კრებას გახსნის მისი წარმომადგენელი. კრება აირჩევს პრეზიდიუმს იმ რიცხვით, რასაც თვითვე განსაზღვრავს, და შეიმუშავებს რეგლამენტს კრებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. ვიდრე ამა თუ იმ წინადადებას დღის წესრიგში დასმული საკითხის შესახებ კენჭი ეყრებოდეს, რწმუნებულთა კრება აირჩევს სამანდატო კომისიას, რომელიც შეამოწმებს კრებაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებულ პირთა უფლებას.

40. რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით და ახდილი ხმის მიცემით; ხოლო გადაწყვეტილებანი წესდების შეცვლისა და დამატებისა, კავშირის შედგენილობიდან წევრის გამორიცხვისა და კავშირის საქმეთა ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს დამსწრე რწმუნებულთა არა ნაკლებ 2/3 ხმით.

შენიშვნა. თვითეულ რწმუნებულს აქვს ერთი ხმა, რომელიც არ შეიძლება სხვას გადაეცის.

41. რწმუნებულთა კრების დადგენილებანი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს მოაწერენ თავმჯდომარე, პრეზიდიუმის სამი წევრი და კრების მდივანი. თვითეულ რწმუნებულს უფლება აქვს წერილობითი სახით წარადგინოს თავისი განსაკუთრებული აზრი ამა თუ იმ დადგენილების შესახებ კრების ოქმში შესატანად.

42. რწმუნებულთა კრების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესახებ ეცნობება კავშირის წევრებსა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილებას, რისთვისაც ამ უკანასკნელთ გაეგზავნება თვით დადგენილებათა ასლი,

ბ) გ ა მ გ ე ო ბ ა.

43. გამგეობა აწარმოებს კავშირის ყველა საქმეებს და არის მისი წარმომადგენელი ყოველგვარი ურთიერთობისათვის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან, ხოლო ამ წარმომადგენლობისათვის არ არის საჭირო განსაკუთრებული რწმუნებულობა. გამგეობა თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს ამა წესდებას, კავშირის რწმუნებულთა კრების დადგენილებების და დებულებას ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ.

44. გამგეობას აირჩევს კავშირის რწმუნებულთა კრება სამი პირისაგან მაინც ერთი წლის ვადით. გამგეობის წევრებისათვის აირჩევა კანდიდატები არა ნაკლებ ორი კაცისა.

45. გამგეობა აირჩევს თავისი წრიდან თავმჯდომარეს და მის მოადგილეს და გაანაწილებს მოვალეობას წევრთა შორის.

46. გამგეობას დაეკისრება:

ა) გაუწიოს წარმომადგენლობა და დაიცვას კავშირისა და მის მიერ გაერთიანებული წევრების ინტერესები ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, დაწესებულებისა და კერძო პირის წინაშე;

ბ) შეადგინოს მოქმედების გეგმა, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, წლიური ანგარიში და ბალანსი და წარუდგინოს ისინი, სარევიზიო კომისიის დასკვნით, რწმუნებულთა კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად;

გ) ხელი შეუწყოს საკრედიტო საზოგადოებებისა, ინვალიდთა ამხანაგობებისა და აგრეთვე ინვალიდთა ურთიერთ დამხმარე სალაროების მოწყობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღოს ახალი წევრები, აღრიცხოს მათი საპაიო შენატანი და განსაზღვროს მათი პასუხისმგებლობის ფარგლები კავშირის ვალდებულებისათვის;

ე) იყიდოს, გაყიდოს და დააგირაოს ყოველგვარი ქონება, საქონელი, ნედლეული და სხვა საგნები;

ვ) დასდვას ყოველგვარი ხელშეკრულება და გარიგება;

ზ) მიიღოს, გასცეს და შეინახოს ფული, ფასეულობა და სხვა ქონება;

თ) მიიღოს და გასცეს დახმარება და სესხი და აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები;

ი) გახსნას და დახუროს მარტივი და სპეციალური მიმდინარე ანგარიში;

კ) მოაწყოს და განაგოს საწყობი და საწარმონი;

ლ) გასცეს, მიიღოს გადასახდელის სახით და გაანაღდოს თამასუქი და სხვა ვადიანი ვალდებულება;

მ) აწარმოოს საშუამავლო ოპერაციები თავის წევრთა შორის და სხვა დაწესებულებებთან, ოგანიზაციებთან და კერძო პირებთან;

ნ) გასცეს რწმუნებულობის ბარათი კავშირის საქმეების გამო;

ო) დაიქირაოს და დაითხოვოს მოსამსახურენი;

პ) განაგოს ანგარიშწარმოება და საქმისწარმოება;

ჟ) შეიმუშაოს წესები და ინსტრუქციები კავშირისა და მისი წევრების მოქმედების სხვადასხვა დარგისათვის;

რ) აწარმოოს ხოლმე კავშირის წევრთა რევიზია და ინსტრუქტორობა გაუწიოს მათ;

ს) მოიწვიოს ხოლმე, საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილების ნებართვით, კონფერენცია, ყრილობა და თათბირი;

ტ) შეასრულოს სხვა სამუშაო, რაც გამომდინარეობს წესდებიდან და რწმუნებულთა კრების დადგენილებებიდან.

47. გამგეობა მოაწყობს თავის სხდომებს კვირაში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო გამგეობის წევრთა ნახევარი მაინც, მათ შორის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

48. გამგეობაში საკითხები გადასწყდება ახდილი ხმის მიცემით და ხმის მარტივი უმეტესობით; უკეთუ ხმები შუაზე გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს.გამგეობის დადგენილებათათვის შესდგება ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს გამგეობის ყველა დამსწრე წევრი.

შენიშვნა. გამგეობის ის წევრი, რომელიც უმრავლესობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება და თავის განსაკუთრებულ აზრს ოქმში შეიტანს, პასუხისმგებელი არ არის მიღებული დადგენილებისათვის.

49. რწმუნებულობას, ხელშეკრულებას, თამასუქს და სხვა აქტს, აგრეთვე მოთხოვნას ფულადი თანხის მიღების შესახებ ხელს მოაწერს გამგეობის თავმჯდომარე ან კავშირის გამგეობის მიერ საამისოდ რწმუნება-მოსილი პირი. ყველა სხვა დოკუმენტს და მიწერმოწერას კავშირის საქმეთა შესახებ ხელს მოაწერს კავშირის გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

შენიშვნა. გამგეობის ყოველ წევრს ან სხვა პირს, ვისაც სათანადო რწმუნებულობა აქვს, უფლება ეძლევა ერთპიროვნულად მოაწეროს ხელი ისეთ დოკუმენტს, რომელიც ამა პარაგრაფის თანახმად ორი პირის ხელის მოწერას საჭიროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გადაყენება ვადამდე შეიძლება რწმუნებულთა კრების დადგენილებით.

51. გამგეობის წევრები პასუხისმგებელი არიან ერთად ყველა იმ ზარალისათვის, რაც მათი არასწორი მოქმედებით კავშირს მოუვა.

V. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის საქმეთა რევიზია.

52. კავშირის მმართველობის და აპარატისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად, კავშირის საქმეთა რევიზიის საწარმოებლად და ანგარიშის შესამოწმებლად, აგრეთვე ურთიერთ შორის მოსალოდნელი დავისა და გაუგებრობის განსახილველად,—რწმუნებულთა კრება აირჩევს სარევიზიო კომისიას.

53. სარევიზიო კომისია შესდგება არა ნაკლებ სამი წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან ერთი წლის ვადით. სარევიზიო კომისიის წევრად არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი და აგრეთვე კავშირის მოსამსახურე.

სარევიზიო კომისიის წევრთა შესაცვლელად აირჩევა ორი კანდიდატი.

54. სარევიზიო კომისიას დაეკისრება:

ა) პერიოდულად შეამოწმოს (ექვს თვეში ერთხელ მაინც) ფულადი ხელთქონებულობა, ფასიანი ქაღალდები და კავშირის სხვა ფასეულობა და შეადაროს ისინი დავთრებსა და დოკუმენტებს;

ბ) შეამოწმოს საქონლისა, მასალისა და სხვ. ხელთქონებულობა კავშირის საწყობებსა და საწარმოებში და გამოარკვიოს, თუ რამდენად ეთანაბრება ეს ხელთქონებულობა დავთრებს, და აგრეთვე შეამოწმოს ყოველგვარი ქონება, რაც ეკუთვნის კავშირს, ან რაც მის რწმუნებულობაშია. შემოწმება სწარმოებს კავშირის რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილ ვადაზე ან სარევიზიო კომისიის შეხედულებისამებრ, ხოლო წელიწადში ორჯერ მაინც:

გ) შეამოწმოს ანგარიში, დავთრები და დოკუმენტები და წარუდგინოს რწმუნებულთა კრებას დასკვნა, აგრეთვე შეამოწმოს მთლად კავშირის მუშაობა მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში;

დ) განიხილოს გამგეობის წინააღმდეგ აღძრული საჩივარი და

ე) თვალყური ადევნოს კავშირის მუშაობის საერთო მიმართულებას.

55. გამგეობის წინააღმდეგ აღძრული საჩივრების გამო და აგრეთვე კავშირის სალაროს, ქონებისა და საქმეების შემოწმების დროს აღმოჩენილ გარემოებათა გამო სარევიზიო კომისია მისცემს გამგეობას სათანადო წინადადებას მისი არასწორი და კავშირის ინტერესებთან შეუთანხმებელი მოქმედების შესახებ.

უკეთუ კავშირის საქმეებში აღმოჩენილ იქნა უწესრიგობა ან ბოროტმოქმედება, სარევიზიო კომისიას შეუძლიან მოითხოვოს, ამა წესდების 35 §-ის თანახმად, რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრების მოწვევა. უკეთუ სარევიზიო კომისიის მოთხოვნა უარყოფილ იქნა, იგი თითონ მოიწვევს რწმუნებულთა არაჩვეულებრივ კრებას (33 §-ის შენიშვნა).

56. სარევიზიო კომისია შეიკრიბება საჭიროებისადა მიხედვით, ხოლო სამ თვეში ერთხელ მაინც. სარევიზიო კომისიას შეუძლიან შემამოწმებელი მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის წარმოება დააკისროს თავის ცალკე წევრებს და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს მცოდნე პირები. ყველა თავისი მოქმედებისა და შენიშვნებისათვის სარევიზიო კომისია შეადგენს ოქმებს ცალკე დავთარში, ოქმების ასლს სარევიზიო კომისია გაუგზავნის კავშირის გამგეობას და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

57. საჩივარი სარევიზიო კომისიის მოქმედების გამო წარედგინება რწმუნებულთა კრებას, ხოლო თვით სარევიზიო კომისიის მეშვეობით. სარევიზიო კომისია ვალდებულია ეს საჩივარი თავისი ახსნა-განმარტებით წარუდგინოს რწმუნებულთა უახლოეს კრებას.

58. სარევიზიო კომისიასა და მის წევრებზე გავრცელდება ამ წესდების 45, 48, 50 და 51 §§-ით დადგენილი წესები.

59. სარევიზიო კომისიის მუშაობისათვის საჭირო სასხსარს გადასდებს რწმუნებულთა კრება საგასავლო ხარჯთაღრიცხვით.

VI. ანგარიშწარმოება და ანგარიშგება.

60. კავშირის ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სწარმოებს ანგარიშგების შესახებ არსებულ კანონდებულებათა თანახმად.

61. თვითეული განვლილი საანგარიშო წლისათვის გამგეობა შეადგენს დაწვრილებითი ანგარიშს კავშირის მუშაობის შესახებ და აგრეთვე ხარჯთაღრიცხვას და მოქმედების გეგმას მომავალი წლისათვის. ანგარიში, ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და გეგმა საბჭოს მიერ განხილვისა და სარევიზიო კომისიის შემოწმების შემდეგ წარედგინება, სარევიზიო კომისიის დასკვნით, რწმუნებულთა კრებას.

62. კავშირის საანგარიშო წელიწადი ითვლება ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-მდე ამ რიცხვითურთ.

63. წლიური ანგარიში დაწვრილებით უნდა შეიცავდეს მთავარ მუხლებს, რომლებიც სათანადო სისრულით გამოარკვევენ საოპერაციო წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას და ანგარიშების მდგომარეობას დავთრების დახურვის მომენტისათვის; კერძოდ, ანგარიში უნდა შეიცავდეს ბალანსს, მოგება-წაგების ანგარიშს და აგრეთვე მასში აღნიშნული უნდა იქნეს კავშირის წევრთა რიცხვის მოძრაობა და მათი პასუხისმგებლობის ფარგლები კავშირის ვალდებულებათათვის.

64. ანგარიში შედგენილ და ხელმოწერილ უნდა იქნეს გამგეობისა სარევიზიო კომისიის წევრთა მიერ არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის დამთავრების დღიდან და, ყოველ შემთხვევაში, ორი კვირით ადრე მაინც იმ რწმუნებულთა კრების მოწვევამდე, რომელსაც ეს ანგარიში უნდა წარედგინოს. ამ ორი კვირის განმავლობაში კავშირის წევრებს საშუალება უნდა მიეცეთ განსაზღვრულ საათებში დაათვალიერონ ხელმე ანგარიში და აგრეთვე დავთრები და დოკუმენტები.

65. რწმუნებულთა კრების მიერ დამტკიცებული ანგარიში ინახება კავშირის საქმეებში და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სათანადო ბეჭდვითი ორგანოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. კავშირის წმინდა მოგება და წაგება.

66. კავშირის წმინდა მოგებას რწმუნებულთა კრება გაანაწილებს შემდეგნაირად:

ა) არა ნაკლებ 15%-ისა—ჩაირიცხება კავშირის ძირითად კაპიტალში;

ბ) არა ნაკლებ 45%-ისა—საბრუნავ კაპიტალში;

გ) არა ნაკლებ 15%-ისა—სათადარიგო კაპიტალში;

დ) არა ნაკლებ 10%-ისა—სპეციალურ კაპიტალში;

ე) დარჩენილი ნაწილი გამოყენებულ უნდა იქნეს წევრთა საპაიო შენატანზე პროცენტების დასარიცხავად, საქონლის ბრუნვის პრემიის გასაცემად და სხვა მიზნისათვის, რაც ამ წესდებით გათვალისწინებულია.

67. საპაიო მოგება და პრემია საქონლის ბრუნვის მიხედვით, რაც კავშირის წევრზე მოდის, შეიძლება მიეცეს მას (წევრს) სამი თვის განმავლობაში დღიდან ანგარიშის დამტკიცებისა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მას შეტანილი აქვს ყველა მისთვის სავალდებულო საპაიო გადასახადი (§ 13), წინააღმდეგ შემთხვევაში მოგება და პრემია მიემატება მის საპაიო შენატანს.

შენიშვნა. უკეთუ ის თანხა, რაც კავშირის წევრს ერგება, ამ უკანასკნელმა სამი თვის განმავლობაში არ გაიტანა, იგი (თანხა) ჩაირიცხება საპაიო თანხის გასადიდებლად.

68. წაგება, რაც კავშირის ბრუნვით აღმოჩნდება, დაფარულ უნდა იქნეს კავშირის სათადარიგო და სხვა კაპიტალის თანხიდან. უკეთუ წაგება ამ გზით არ დაიფარება, რწმუნებულთა კრება გაანაწილებს დანაკლის თანხას კავშირის წევრთა შორის ჯერადი რაოდენობით მათი სავალდებულო საპაიო შენატანის თანხის მიმართ (§ § 4 და 18).

უკეთუ საოპერაციო წლის წაგების მთელი თანხის დაფარვა ამ წესითაც შეუძლებელი შეიქნა, რწმუნებულთა კრებამ უნდა გამონახოს სხვა წყარო წაგების დაუფარავი ნაწილის შესავსებად ან და უნდა მიაქციოს კავშირი სალიკვიდაციოდ ამა წესდების 69 §-ის თანახმად.

VIII. კავშირის ლიკვიდაცია.

69. კავშირის ლიკვიდაცია მოხდება:

ა) რწმუნებულთა კრების დადგენილებით;

ბ) უკეთუ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 5-ზე ნაკლები იქნება და ამასთანავე ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ გარემოების დადგომისა კავშირი არ შეივსება ახალი წევრებით;

გ) უკეთუ კავშირი სასამართლოს დადგენილებით არაშემძლედ იქნა გამოცხადებული;

დ) საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრ. განყოფილების დადგენილებით, უკეთუ კავშირი დაარღვევს მომქმედ კანონებს და არ დაიცავს წესდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. უკეთუ დადგება ისეთი გარემოება, რაც იძლევა საბაბს კავშირის ლიკვიდაციის საკითხის აღძვრისათვის (§ 69), გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს რწმუნებულთა კრება, რომელიც გამოიტანს დადგენილებას კავშირის ლიკვიდაციის შესახებ და განსაზღვრავს ლიკვიდაციის წესს, ან იხმარს სათანადო ღონისძიებას იმ პირობების თავიდან ასაცილებლად, რაც კავშირის ლიკვიდაციას იწვევს.

71. რწმუნებულთა კრების დადგენილება კავშირის ლიკვიდაციის შესახებ ეცნობება საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და გამოქვეყნდება ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში.

72. ლიკვიდაციას განახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელიც შესდგება 3 პირისაგან მაინც და რომელსაც აირჩევს რწმუნებულთა კრება. ლიკვიდაციის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს დღიდან ლიკვიდაციის შესახებ დადგენილების გამოტანისა. იმ შემთხვევაში, როცა კავშირის ლიკვიდაცია 69 §-ის „ა“ და „ბ“ პუნქტის თანახმად უნდა მოხდეს, ეს ლიკვიდაცია შეიძლება განახორციელონ, რწმუნებულთა კრების დადგენილებით, კავშირის გამგეობის წევრებმაც.

73. სალიკვიდაციო კომისიის წევრები დაემორჩილებიან იმ წესებს, რაც დადგენილია გამგეობის წევრთათვის და იმავე საფუძველზე პასუხს აგებენ კავშირისათვის მიყენებული ზარალის გამო; ამასთანავე სალიკვიდაციო კომისიის წევრებს კონტროლს გაუწევს სარევიზიო კომისია.

74. კავშირის ვალების დაფარვის დროს პირველ რიგში, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, დაფარულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების სესხით შექმნილი დავალიანება.

75. სალიკვიდაციო კომისია პუბლიკაციით და უწყებების გაგზავნით გამოიწვევს კავშირის კრედიტორებს, იხმარს სათანადო ღონისძიებას მათი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ხელმძღვანელობას გაუწევს კავშირის ქონების გაყიდვას და მოურიგდება მესამე პირებს იმ საფუძველზე და იმ ფარგალში, რასაც რწმუნებულთა კრება განსაზღვრავს.

ლიკვიდატორებმა უნდა გადასდონ სათანადო თანხა, რაც საჭიროა იმ სადაო ვალის დასაფარავად, რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა, და უნდა შეიტანონ იგი შესანახად ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში.

76. უკეთუ კავშირის ქონება საკმარისი არ იქნება ყველა ვალდებულების დასაფარავად, სალიკვიდაციო კომისია დანაკლის თანხას გადაახდევინებს კავშირის წევრებს დამატებითი პასუხისმგებლობის წესისამებრ (§ § 4 და 18).

77. კავშირის წევრთა სავალდებულო საპაიო შენატანის დაბრუნება, იმ ზარალის გამოკლებით, რაც წევრთა შორის იქნა განაწილებული, მოხდება არა უადრეს ყველა ვალის დაფარვისა და, ამასთანავე, რწმუნებულთა კრების მიერ სალიკვიდაციო კომისიის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს იმ ვადის გასვლისა, რაც აღნიშნულია კანონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესდებით და სათანადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის წესების დარღვევისათვის სალიკვიდაციო კომისია მთლიანად პასუხს აგებს კანონის თანახმად; ასეთივე პასუხისმგებლობა დაეკისრება სარევიზიო კომისიის წევრებს, უკეთუ მათ აღმოაჩინეს აღნიშნული წესების დარღვევა და ეს გარემოება წერილობით არ განუცხადეს სალიკვიდაციო კომისიას ან რწმუნებულთა კრებას.

78. კავშირის ვალის გასტუმრებისა და საპაიო შენატანის დაბრუნების შემდეგ დარჩენილი ქონება განაწილდება რწმუნებულთა კრების უკანასკნელი დადგენილებისამებრ.

79. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ სალიკვიდაციო კომისია შეადგენს თავის მოქმედების ანგარიშს, რომელსაც, სარევიზიო კომისიის დასკვნით, წარუდგენს რწმუნებულთა კრებას დასამტკიცებლად. ანგარიში ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ, მისი დამტკიცების შემდეგ, უნდა ეცნობოს სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს. კავშირის დავთრებს, საქმეებს და დოკუმენტებს სალიკვიდაციო კომისია გადასცემს სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

საქართველოს სახელმწიფო * ტფილისი * საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 945. ტირაჟი 500.